ოქმი:**ო63. 6324122001**
თარიღი:**01/05/2024**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება“_ს სხდომის

ო ქ მ ი N3

ქ.სამტრედია 24 აპრილი. 2024 წელი.

მიმდინარე წლის 24 აპრილს სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება“_ს თავმჯდომარის, ტარიელ დვალიშვილის თავმჯდომარეობით ჩატარდა ფრაქცია ,,ქართული ოცნება“_ს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ტარიელ დვალიშვილი, ნუგზარ ჯამბურია, ვაჟა სტურუა, ვალერიანე ფოცხვერია, ნათია პაპავა, მანანა სირბილაძე, ბექა თევზაძე, გოჩა არველაძე, ლიზა კრავეიშვილი, ჯონი ახობაძე, მაია ტალაბაძე, ტარიელ ცომაია, ბადრი შენგელია, ლელა ჩორგოლაშვილი, დავით ჯანელიძე, გიორგი ლეჟავა, გიორგი გაგუა.

დღის წესრიგი:

1. ,,უცხოეთში განათლების მიღების ხელშეწყობა რეგიონების განვითარებისთვის 2024-2025“ პროგრამის განხილვა.

/მომხსენებელი: ტარიელ დვალიშვილი/

2. ,,საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამა 2024-2025“ განხილვა.

/მომხსენებელი: ტარიელ დვალიშვილი/

3. სხვადასხვა.

ფრაქციის თავმჯდომარის წინადადებით, ფრაქციის წევრებმა (17 ხმით) კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, ფრაქცია ,,ქართული ოცნება“_ს წევრთა (17 ხმით), დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

<u>დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით</u> მომხსენებელმა, ტარიელ დვალიშვილმა, ფრაქციის წევრებს გააცნო პროგრამა ,,უცხოეთში განათლების

მიღების ხელშეწყობა რეგიონების განვითარებისთვის 2024-2025“-ის შესახებ.

ტარიელ დვალიშვილი - მოგახსენებთ, რომ სსიპ განათლების საერთაშორისო ცენტრში გამოცხადდა რეგისტრაცია სახელმწიფო საგრანტო პროგრამებზე 2024-2025. პროგრამის ,,უცხოეთში განათლების მირების ხელშეწყობა რეგიონების განვითარებისთვის 2024-2025“-ის მიზანია ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისათვის, შრომის ბაზრის მოთხოვნებიდან გამომდინარე, კვალიფიციური კადრების საზღვარგარეთ მომზადება და რეგიონების განვითარების მიზნით საქართველოს მუნიციპალიტეტში ინტეგრირება.

ამ პროგრამის შესახებ ვრცლად მოგვახსენებს ბატონი ვაჟა.

ვაჟა სტურუა - დაფინანსება გაიცემა კონკურსის წესით სამართლიანობის, შეჯიბრებითობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით ერთი აკადემიური წლისთვის სრულად ან ნაწილობრივ. დაფინანსება მიენიჭება როგორც ერთწლიან, ასევე, ერთ წელზე მეტი ხანგრძლივობის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირებს დაფინანსების გაგრძელების წინაპირობით მომდევნო აკადემიური წლისთვის.

ქვეპროგრამა არ ითვალისწინებს სწავლება-სწავლის არასრული დატვირთვის რეჟიმის მქონე, ელექტრონული ფორმის (online), დისტანციური, ინტეგრირებული სამაგისტრო პროგრამების დაფინანსებას.

საკონკურსო კომისიის მიერ შეფასების პროცესში მხედველობაში მიიღება ინფორმაცია, თუ :

- ➢ კონკურსანტს მოპოვებული აქვს ინსტიტუციური თანადაფინანსება;
- ➢ აქვს რეგიონში მუშაობის გამოცდილება.

ქვეპროგრამის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ საქართველოს მოქალაქეები, პირადობის ნეიტრალური მოწმობის ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მფლობელი პირები, რომლებიც ჩარიცხულნი არიან საზღვარგარეთ, შესაბამისი უცხო ქვეყნის კანონმდებლობით აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე და რეკომენდებულნი არიან პოტენციური დამსაქმებლისგან საქართველოს რეგიონში.

ქვეპროგრამის შედეგს წარმოადგენს დაფინანსებული პირის მიერ სწავლის დასრულების შემდგომ შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა. აგრეთვე, სწავლის დასრულებიდან არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში საქართველოში დაბრუნება, დაყოვნება და დასაქმება არანაკლებ 3 წლით სწავლის დასრულებიდან 5 წლის განმავლობაში რეკომენდატორი დაწესებულების მხარდაჭერით ამ ქვეპროგრამის მიზნებისთვის.

აგრეთვე, ცენტრის მხარდაჭერით, შესაბამის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან თანამშრომლობა.

ფრაქციის წევრებმა მოისმინეს და დადებითად შეაფასეს ზემოაღნიშნული პროგრამა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად ფრაქცია ,,ქართული ოცნება“_ს წევრებმა მოისმინეს ზემოაღნიშნული ინფორმაცია და მიიღეს ცნობად.

<u>დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით,</u> მომხსენებელმა, ტარიელ დვალიშვილმა, ფრაქციის წევრებს გააცნო ,,საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამა 2024-2025“.

<u>ტარიელ დვალიშვილი</u> - მოგახსენებთ, რომ პროგრამის ფარგლებში საჯარო (საბიუჯეტო) დაწესებულებაში დასაქმებული საქართველოს მოქალაქეებისა და პირადობის ნეიტრალური მოწმობისა ან/და ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტის მფლობელებს შეუძლიათ მოიპოვონ დაფინანსება და საზღვარგარეთ აიმაღლონ კვალიფიკაცია დაკავებული თანამდებობით დაკისრებული საქმიანობის შესაბამისი

შინაარსის პროგრამაზე.

ამ პროგრამის მეშვეობით საჯარო (საბიუჯეტო) დაწესებულებაში დასაქმებული პირები შეძლებენ საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამის გავლის გზით თეორიული ცოდნის, პრაქტიკული უნარების, პროფესიული ჩვევების გაუმჯობესებას. კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამის შინაარსი და თემატიკა უნდა შეესაბამებოდეს დაკავებული თანამდებობით დაკისრებული საქმიანობის შინაარსს.

კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამა შეიძლება იყოს არანაკლებ 5 დღის და არაუმეტეს 3 თვის ხანგრძლივობის. კონკურსის საფუძველზე გაიცემა სრული ან ნაწილობრივი დაფინანსება.

საკონკურსო კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება ინფორმაცია კონკურსანტის მიერ მოპოვებული ინსტიტუციური თანადაფინანსების შესახებ.

პროგრამა არ ითვალისწინებს სწავლება-სწავლის არასრული დატვირთვის რეჟიმის მქონე, ელექტრონული ფორმის (online), დისტანციური ან/და ინტეგრირებული პროგრამების დაფინანსებას.

პროგრამის მიზანია საჯარო (საბიუჯეტო) დაწესებულებაში დასაქმებულ პირებს მიეცეთ საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობა. საზღვარგარეთ კვალიფიკაციის ამაღლების შემდეგ საჯარო სამსახურში (საბიუჯეტო) დასაქმებული პირი შეძლებს უფრო ეფექტიან საქმიანობას.

პროგრამის ამოცანაა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარებისთვის საჭირო მაღალკვალიფიციური და კომპეტენტური კადრების მომზადება.

ფრაქციის წევრებმა მოისმინეს და დადებითად შეაფასეს ზემოაღნიშნული პროგრამა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად ფრაქცია ,,ქართული ოცნება“_ს წევრებმა მოისმინეს ზემოაღნიშნული ინფორმაცია და მიიღეს ცნობად.

სხდომის მდივანი: / ნათია დოლიძე/

ტარიელ დვალიშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-ფრაქცია ,,ქართული ოცნება”-ფრაქცია ,,ქართული ოცნება”-ს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი